საქართველო

18701-01-2-202306051301

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/18701
05/06/2023

მოქალაქე **ლანა როყვას**

(მის: ქ. თბილისი, ოთარ ჭილაძის 10, მობ: 558543825,

ელ.მის: foi+request-2590-451577f0@askgov.ge)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით:

2012 წელს სულ შემოსულია 64 განცხადება, აქედან საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 55 შემთხვევაში, 1 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების, ხოლო 8 შემთხვევაში უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

ა) 1 შემთხვევაში განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად გადაგზავნილ იქნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში;

ბ) 1 შემთხვევაში უარი ეთქვა განმცხადებელს ინფორმაციის გაცემაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ინფორმაციის არარსებობის გამო;

გ) 3 შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განეკუთვნებოდა პერსონალურ მონაცემებს და არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი პირის თანხმობა;

დ) 3 შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას.

ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული იქნა ერთი განცხადება. კერძოდ, მოქალაქემ მოითხოვა ინფორმაცია საერთაშორისო ხელშეკრულების

გაფორმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შესახებ, ასევე ინფორმაცია ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მდგომარეობის, ხელმომწერი პირის ვინაობისა და დროის შესახებ. განმცხადებლის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ასევე ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების ცვლილებებთან დაკავშირებით და ასეთის არსებობის შემთხვევაში ითხოვდა ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნულ განცხადებაზე პასუხი განმცხადებელს ეცნობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. რაც შეეხება ოქმის პირობებს, იგი არ იქნა განმცხადებლისათვის მიწოდებული, რაც განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული იქნა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენით.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ზემოაღნიშნული პასუხის გაცემისას იხელმძღვანელა შემდეგი ნორმატიული აქტებით:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

ბ) ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონით. კერძოდ, მითითებული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგარეო ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს ინფორმაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ინტერესებს. გარდა ამისა, ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულების ,,4.1" და ,,4.1.1" ქვეპუნქტების შესაბამისად, საგარეო ურთიერთობათა სფეროში საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება ცნობები საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, რომელთა წინასწარმა გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმიფო ინტერესებს, ასევე - ცნობები სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ, რომელთა გამჟღავნებამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოლაპარაკებების შედეგებზე.

აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროს მიერ განხილულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით და სამინისტროს მიერ

მიღებული იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული იქნა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში და მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარჩელის/ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

- 2013 წელს სულ შემოსულია 71 განცხადება, საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 71 შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2014 წელს სულ შემოსულია 75 განცხადება, აქედან - საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 75 შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2015 წელს სულ შემოსულია 86 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 85 შემთხვევაში; ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 1 განმცხადებელს (სზაკ-ის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე). საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2016 წელს სულ შემოსულია 80 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 76 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 3 განმცხადებელს: ერთ განმცხადებელს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, არ იყო დაცული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სზაკ-ის 44-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხოლო ერთი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას;

- 1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვინაიდან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის

თანახმად განცხადება არ დაკმაყოფილდა. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს მიეცათ წერილობითი განმარტება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- **2017 წელს** სულ შემოსულია 131 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 121 შემთხვევაში. ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 8 განმცხადებელს: სამ განმცხადებელს განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, არ იყო დაცული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სზაკ-ის 44-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 1 განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 2 განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას და სზაკ-ის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნათ შესაბამის უწყებებს, ხოლო ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვინაიდან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოებას.

- 2 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ერთ შემთხვევაში განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე შემთხვევაში განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ იყო დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროში. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს მიეცათ წერილობითი განმარტება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- **2018 წელს** სულ შემოსულია 105 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 93 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 11 განმცხადებელს: სამ განმცხადებელს განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, არ იყო დაცული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ერთ განმცხადებელს უარი ეთქვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სზაკ-ის 44-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ერთ განმცხადებელს ეთხოვა მოთხოვნილი ინფორმაციის დაკონკრეტება, ვინაიდან მოთხოვნა იყო მეტად ზოგადი და მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 6 განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას და სზაკ-ის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნათ შესაბამის უწყებებს.

- 1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოებას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განცხადება არ დაკმაყოფილდა. ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს მიეცათ წერილობითი განმარტება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2019 წელს სულ შემოსულია 81 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 73 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 8 განმცხადებელს: 2 განმცხადებელს განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ იყო დაცული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, 2 განმცხადებელს უარი ეთქვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სზაკ-ის 44-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ერთ განმცხადებელს ეთხოვა მოთხოვნილი ინფორმაციის დაკონკრეტება, ვინაიდან მოთხოვნა იყო მეტად ზოგადი და მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 2 განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ

განეკუთვნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას და სზაკ-ის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნათ შესაბამის უწყებებს, 1 განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით არ შემოსულა არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2020 წელს სულ შემოსულია 77 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 70 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 7 განმცხადებელს: 2 განმცხადებელს განემარტა, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ იყო დაცული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1 განმცხადებელს ეთხოვა მოთხოვნილი ინფორმაციის დაკონკრეტება, ვინაიდან მოთხოვნა იყო მეტად ზოგადი და მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 3 განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას და სზაკ-ის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნათ შესაბამის უწყებებს, 1 განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოვიდა 2 ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2021 წელს სულ შემოსულია 95 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 91 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 4 განმცხადებელს: 3 შემთხვევაში განმცხადებლებს განემარტათ, რომ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 1 განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი.

- 2022 წელს სულ შემოსულია 79 განცხადება, აქედან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 74 შემთხვევაში;

- ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 5 განმცხადებელს: 1 შემთხვევაში განმცხადებელს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,მ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციას, 2 განმცხადებელს უარი ეთქვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, 1 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გადაგზავნილ იქნა სხვა უწყებაში და 1 განმცხადებელს განემარტა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთან დაკავშირებითაც ჩატარდა ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენის სხდომა და გამოიცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რაც შეეხება ხშირად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციას, გაცნობებთ რომ აღნიშნული სახის სტატისტიკას სამინისტრო არ აწარმოებს, თუმცა ხშირია მოთხოვნა: სამინისტროს მიერ გაწეულ ხარჯებთან (სარგოები, დანამატები, პრემიები, სამივლინებო ხარჯები) დაკავშირებით, დასაქმებულთა რაოდენობასთან (მათ შორის გენდერულ ჭრილში) დაკავშირებით; საერთაშორისო ხელშეკრულებების ასლების მიწოდებასთან დაკავშირებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტრო აწარმოებს საჯარო რეესტრს. აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებების მიერ, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, ფიზიკური და ელექტრონული განცხადებების შესახებ სტატისტიკის წარმოების ვალდებულებას.

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი